მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი, 05 აპრილი, 2024 წელი

შპს „მშენალიანსი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405018145) დირექტორმა ჯემალ ლელაშვილმა (პირადი ნომერი: 01029004700) მერაბ კურცხალიას (პირადი ნომერი: 01017013507), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", როგორც მის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, ქ. თბილისის მერიაში და მის ყველა საქალაქო სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და მოითხოვოს მშენებლობის ნებართვა უძრავ ქონებაზე საკადასტრო კოდით: 01.10.13.008.021, თბილისი, გაგარინის ქ. 7), ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადება, გამოითხოვოს დოკუმენტაცია, მოითხოვოს და ჩაიბაროს ოქმი, პასუხი, ნებისმიერი სახის დოკუმენტი, მოიპოვოს და ჩააბაროს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, გადაიხადოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები და მოსაკრებლები, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მარწმუნებლის სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ დავალებასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

შპს „მშენალიანსი"-ს დირექტორი

ჯემალ ლელაშვილი